|------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                        |                                                                                                                             | <p>განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო შედეგებთან მიმართებით.(საგნის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით);</p> <p>საბუძნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია ქიმიაში, მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმს დაემატოს შეფასების რუბრიკა; მე-12 კლასის ქიმიის კურიკულუმში გამოიკვეთოს შუალედური სასწავლო მიზანი (პროდუქტი)შესაბამისი შეფასების კრიტერიუმით ფიზიკაში, მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში დაემატოს შეფასების კრიტერიუმები; ბიოლოგიაში-მე-12 კლასის კურიკულუმში შესატანია თემები, პროდუქტი, შეფასება.</p> |
| ინდიკატორი<br>N2.2.2.1 | სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი | საზოგადოებრივი მეცნიერებები: ისტორიის მე-10 და მე-12 კლასების საგნობრივ კურიკულუმში რესურსებად ძირითადად სახელმძღვანელოა მითითებული. დამატებული უნდა იყოს დამხმარე რესურსების ჩამონათვალი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს                                                          | სახელმწიფო ენა: სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საფეხურის ფარგლებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი(საგნობრივი კურიკულუმი) , სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით.                                                                                                                                                                                                                                                             |
| ინდიკატორი<br>2.2.1.3  | შეფასების სისტემა არის ვალიდური                                                                                             | საზოგადოებრივი მეცნიერებები: ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირეთ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. დაწესებულებამ 2025 წლის 25 აპრილს წარმოადგინა კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N444496), რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწყებითი და საბაზო საფეხურის ესთეტიკის (სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის) ჯგუფის საგნების შემოქმედებითი დავალებებისა და შეფასების რუბრიკების შესახებ. (წერილში სკოლის ალბათ ტექნიკური მიზეზის გამო არ მოხდა გადმოგზავნა). წერილს დანართის სახით ახლავს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ზოგიერთი კომპონენტის შეფასება.

დაწყებითი საფეხური:

1. ინდიკატორი 2.1.2.5. - არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.1.2.5 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. ინდიკატორი 2.2.1.1. - არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. ინდიკატორი 2.2.1.3. - არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საბაზო საფეხური:

4. ინდიკატორი 2.1.2.5.- არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება საბაზო საფეხურზე მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.1.2.5 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. ინდიკატორი 2.2.1.1. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება საბაზო საფეხურზე საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



6. ინდიკატორი 2.2.1.3- არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება საბაზო საფეხურზე მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

#### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

##### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

#### 1. მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

შპს მეცნიერებათა სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა. სკოლის მისიაა სწავლების პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომებით, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით, კვლევის უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობით შექმნას ისეთი მოსწავლეზე ორიენტირებული ჰარმონიული სასკოლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და მოამზადებს მათ სწრაფად ცვალებად გარემოში ინტეგრაციისთვისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. სკოლის ხედვაა, რომ 2030 წლისთვის იქნება სკოლა, სადაც საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე სტანდარტებს, სადაც შექმნილი იქნება ინოვაციური, ინკლუზიური, მრავალფეროვანი სასწავლო გარემო და სკოლა, რომელიც სწავლა

- სწავლების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდას. ამ მიზნის მიღწევას სკოლა გეგმავს ისეთი ღირებულებების განვითარებით მოსწავლეებში, როგორიცაა გუნდურობა, მოქნილობა, ხარისხზე ორიენტირება, თანამშრომლობა, გამჭვირვალობა,

სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა. სკოლის მისია და ხედვა დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მისიაში აქცენტი კეთდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაზე და იგივე შინაარსი გრძელდება ხედვის ნაწილში, წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლას თავის მისიაში გაცხადებული აქვს, შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული ჰარმონიული სასკოლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და მოამზადებს მათ სწრაფად ცვლელად გარემოში ინტეგრაციისთვისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. ამიტომ ზრუნავს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე. სკოლა სხვადასხვა აქტივობებით, (პროექტებით არასამთავრობო ორგანიზაცია კონფლიქტების მოგვარების კოალიციასთან, მედია წიგნიერება - გზა ევროპისკენ, ქართლის რეგიონში არსებული ყურძნის ძველი ჯიშების მოშენება- მოვლა პატრონობა- სკოლას თავის ტერიტორიაზე აქვს გაშენებული სხვადასხვა ჯიშები და გამოყავს მათი ნერგები ) და სხვა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენას, პიროვნულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას, მოსწავლეებში გუნდურობის, თანამშრომლობის, კვლევის, კრიტიკულ- შემოქმედებითი აზროვნების უნარების, მოქალაქეობრივი ცნობიერების და ეროვნული ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს ქმნის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. დაწესებულების დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიზნით, მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. დაინტერესებულ პირთა ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის პირველადი ვერსია. უკუკავშირის მიზნით მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფები გაეცნენ სკოლის მიერ წარდგენილ პირველადი ვერსიის დოკუმენტს. მათი მხრიდან რჩევა/რეკომენდაციების

მიღების შემდეგ, მომზადდა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### **4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

შპს მეცნიერებათა სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების პროცესში სამუშაო ვერსიის გაცნობის მიზნით ჰქონდათ სამუშაო შეხვედრები სკოლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჯგუფებთან, დასმული იყო კითხვები და სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მოსაზრებები, მოხდა მათი გაითვალისწინება და საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განხორციელებული პროცედურები ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას. რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით.

შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის ბრძ.01-67 (21.06.2024) სკოლის მისიის შემუშავებული სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ასევე წარმოდგენილია შექმნის შესახებ და სამუშაო ჯგუფის ოქმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### **5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის შენობის ფოიეში გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე იგი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე <https://science.edu.ge/>, სადაც თვალსაჩინოდ, სტრუქტურულად და განთავსებული სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები, ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია გაეცნოს სკოლის მიერ დასახულ მიზანს, რა უნდა, როგორ ხედავს სკოლის მომავალს და რა ღირებულებებზეა აგებული მისი სწავლების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### **6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23062700, 03/05/2023 და განაცხადით N 882020004065 - 06/01/2020, იჯარის უფლების რეგისტრაციით 22/01/2020 ) დასტურდება, რომ სახელწოდება „შპს მეცნიერებათა სკოლა“ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლას ამ საკითხის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი აქვს დანართი 3-ის და დანართი 4-ის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-076, 05.08.2024წ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები (დანართი 1)



- ბრძანება N01-67, 21.06.2024წ. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ოქმები. (დანართი 2)
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან (დანართი 3)
- 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართი 9)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი 4)

ვებ-გვერდი <https://science.edu.ge/>

### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

შპს მეცნიერებათა სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის ბრძ.N01-65; დანართი. 1 „მისიის შექმნის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რისი მიხედვითაც ჩანს, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან: სკოლის დირექცია; სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი). სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გზები ეყრდნობა ძირითად სამოქმედო პრინციპებს: გუნდურობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა. მაგალითად, მუხლი 3. პუნქტი 3.13. ში გაწერილი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ციკლი მოიცავს შემდგომ ეტაპებს: ა) SWOT ანალიზი ბ) სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს/პროექტის შედგენა გ) სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს/პროექტის საჯარო განხილვა დ) საჯარო განხილვის შედეგების/კომენტარების გათვალისწინება ე) სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს/პროექტის საბოლოო ვერსიის შექმნა; ვ) სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს./პროექტის სკოლის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა, ხოლო მუხლი 4. კი- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ასახავს. ამ წესში აღწერილია პრინციპები მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. იმისთვის რომ სკოლა საუკეთესოდ მომზადებულიყო ავტორიზაციის პროცესისთვის ჩართული იყო სიმულაციური ავტორიზაციის პროცესში, რითაც უფრო სრულყოფილად გაიზარა პროცესის მნიშვნელოვნება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (შვიდწლიანი 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2024 წლის 26



ავგისტოს N01-82 ბრძანებით), ის ითვალისწინებს ისეთ მსხვილ ამოცანებს, რაც ხელს უწყობს ხედვის და მისიის შესრულებას სტრატეგიული განვითარების გეგმა შედგება 8 სტრატეგიული მიზნისაგან: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; პარტნიორობთან თანამშრომლობა, კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება; მოსწავლეთა მხარდაჭერა. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები, დადგენილია შესაბამისი ვადები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში და ხდება მეთოდოლოგიით (დანართი 5) განსაზღვრული შესაბამისი ეტაპების განმეორება რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმა ერთწლიანია, რომელიც ეფუძნება ყოველწიურ შეფასებას.**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია 2024 წლის 29 ავგისტოს N01-83 ბრძანებით), რომელშიც ასახულია სტრატეგიული გეგმის შესაბამის მიმართულებები: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; პარტნიორობთან თანამშრომლობა, კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება; მოსწავლეთა მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა



უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკურ თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და 2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედარებისას ნათლად ჩანს, რომ შესაბამისობა ორივე დოკუმენტს შორის დაცულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (დანართი 5)
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა (დანართი 6)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დანართი 7)

#### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;



სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს, რითაც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგია დამტკიცებულია შპს „მეცნიერებათა სკოლის“ დირექტორის მიერ ბრძანება N01- 65. 13.06.2024. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სკოლის შიდა და გარე დაინტერესებულ პირთა ვინაობა და მათი ჩართულობა პროცესში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირების ნუსხა, რომელიც წარმომადგენლობითია და მოიცავს სასკოლო საზოგადოებას. სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე დაწესებულება გეგმავს დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც მუშავდება და წარმოადგენს სიტუაციის ანალიზის (შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით) საფუძველს. განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის მიერ დაინტერესებულ მხარეთა გაზიარების პროცესში ჩართვის ინსტრუმენტები. სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირების გათვალისწინებით მუშავდება სტრატეგიული გეგმა და დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს. სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უსწრებს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების აქტუალობის შეფასება და გეგმების შესრულების ანგარიშის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

შპს მეცნიერებათა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2024 წლის 26 აგვისტოს N01-82 ბრძანებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა შედგება 8 სტრატეგიული მიზნისაგან: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; პარტნიორობთან თანამშრომლობა, კავშირების დამყარება და მუდმივი



განვითარება; მოსწავლეთა მხარდაჭერა. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები, დადგენილია შესაბამისი ვადები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სამოქმედო გეგმის ანგარიში სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება სასკოლო საზოგადოებას, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, განთავსებულია ვებ-გვერდზე. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, ვებ-გვერდი, სადაც უზრუნველყოფილია პროცესების საჯაროობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.** სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილება ერთწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. სკოლის დირექცია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) სუბიექტებისგან იღებს რჩევა-რეკომენდაციებს. მიღებული უკუკავშირის გაანალიზების საფუძველზეც შემუშავდება სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ბრძანება N01- 65. 13.06.2024 (დანართი5)

სამუშაო ჯგუფის ოქმები

დანართი 41 გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### **3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

#### **3.1. პერსონალის მართვა**

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

#### 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის ადმინისტრაციას (სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში) დამხმარე პერსონალს (საქმისმწარმოებელი, ფინანსური მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი, იურისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი,) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვისოფიცერი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, პედაგოგიურ საბჭოს (სკოლის ყველა მასწავლებელი), საგნობრივ კათედრებს, ტექნიკურ პერსონალს (სასადილოს მზარეული, დამლაგებელი და დაცვა). სკოლის დებულებაში განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქცია/მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიგრამა, სკოლას წ), რომელიც ასახავს ორგანიზაციის შემადგენლობას, იერარქიის განსხვავებულ დონეებს, სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთმიმართებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

#### 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

შპს მეცნიერებათა სკოლის დებულებაში (ბრძანება N01-137, 23.12.2024. დებულების დამტკიცების შესახებ დანართი 11.) ნათლად არის გაწერილი ფუნქცია -მოვალეობები, რომელშიც არ ხდება ერთმანეთის გადაფარვა და რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ასევე სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N01- 136, 23.12.2024. სკოლის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-136 , 23.12.2024. სკოლის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ (დანართი 10)
- ბრძანება N01-137, 23.12.2024. სკოლის დებულების დამტკიცების შესახებ (დანართი 11).

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანწესით( დანართი 13; ბრძ.N26 30.12.2019 და 27.03.2025 ბძანებაN01-29) კერძოდ, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სკოლაში თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება მუხლი. 25, შრომითი ურთიერთობების პირობები, ზეგანაკვეთურისა და შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და გაცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით( დანართი 14 ბრძ.N01-72 07.07.2023წ.) გაწერილია სკოლის საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, საქმიანობის შეფასება, პერსონალის განვითარება, პერსონალის ქცევის მართვა, შრომითი საქმიანობის მოტივაცია და სტიმულირება, სკოლის ისეთი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალით დაკომპლექტება, რომელიც ხელს შეუწყობს პედაგოგიური პერსონალის მიერ მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების, საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას. დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება სკოლის სრულ პერსონალზე:მასწავლებლები, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული(შტატით გათვალისწინებული თანამშრომელი (ვადიანი და



უვალო ხელშეკრულებით; შტატგარეშე/დროებით დაქირავებული თანამშრომელი ვადიანი ხელშეკრულებით). დასაქმებული კადრების შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს ობიექტურობის, გამჭვირვალობის და პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ვაკანტური პოზიციის განაცხადი იქმნება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა დასაშვებია როგორც კონკურსის საფუძველზე, ასევე მის გარეშე. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. (დანართი 13 შინაგანაწესი; ბრძ. N01-72, 11.02.2025; საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას გადახედულ იქნა პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა სრულად იცავს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დანართი 14), რომლის ი მე-15 მუხლი (პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები) ცხადყოფს, რომ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისას დაწესებულება ახდენს სხვადასხვა პოზიციის პერსონალის საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. რის საფუძველზე ხდება პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება სკოლის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში; ფასდება სკოლის პერსონალის საქმიანობა სწავლებისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში. მიღებულ შედეგებს სკოლა იყენებს ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარებისთვის. პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა იღებს ვალდებულებას მოახდინოს ადამიანური რესურსის საჭიროების დროული ანალიზი. სკოლაში მიმდინარე მართვისა და ოპერაციული პროცესების გამართული ფუნქციონირებისათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობებში გაწერილია ურთიერთჩანაცვლების საკითხები, რათა საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად იქნას განხორციელებული ფუნქციების დელეგირება სხვაზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე მართვისა თუ ოპერაციული პროცესები. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებების მიხედვით. თითოეულისთვის ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულება. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური პოტენციალის მქონე პერსონალის მოზიდვას, იგი ეხმარება სკოლას საკუთარი პერსონალის პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენებაში, მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილების დონის გაზრდაში, მის



შენარჩუნებასა და განვითარებაში. ხარისხის განვითარების მენეჯერისა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით/დახმარებით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლამ განახორციელა საჭიროებების კვლევა, შეისწავლა კათედრების მუშაობის ანგარიში, რის საფუძველზეც დაიგეგმა პრევენციული და ინტერვენციული აქტივობები (სტრატეგიული განვითარების 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;**

შპს მეცნიერებათა სკოლას თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად აცხადებს შიდა ან ღია კონკურსს სკოლის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით, რომელიც ეფუძნება განათლების, მეცნიერების და სპორტის მინისტრის 2019 წ. 20.08 ბრძანება 174/ნ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს. სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ივლისის ბრძანება N01-72 დამტკიცებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მუხლი 11. სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება აღწერილია სკოლაში არსებული საგნის ვაკანტური საათების კონკურსის გამოცხადების წესი, ეტაპები, პირობები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების ვადები და ქვეყნდება საჯაროდ, დასაქმების ვებგვერდზე [teachersjob.ge](http://teachersjob.ge). სკოლას 2024-2025 წლებში გამოქვეყნებული აქვს ვაკანსიები მე და საზოგადოების, მუსიკის, ბუნებისმეტყველების, დაწყებითის, მათემატიკის მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე, სადაც დაცულია ვაკანსიის გამოცხადების წესი და გაწერილია აპლიკანტისადმი მოთხოვნები. (ცვლილება შინაგანაწესში 2025 წლის 27 მარტის ბრძ. N 01-29; ცვლილება შეტანილი დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N26 ბრძანებაში, სეიცივალა ბრძანების მუხლი. 25, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ში შეტანილი ცვლილების საფუძველზე). რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; კონკურსის ჩატარების პირობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესშიც (სკოლის დირექტორის 2019 წ. 30 დეკემბრის ბრძ N26). ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 (1)-ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები, უფლების ჩამორთმევის შესახებ“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**



პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით. პირად საქმეებში წარმოდგენილია: კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის უფლების ჩამორთმევის შესახებ. პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაფორმებულ თანამშრომელთა პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად (მაძიებელი, უფროსი, წამყვანი, მენტორი). დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულია სულ 27 მასწავლებელი, აქედან 1 მენტორი, 3 წამყვანი, 16 უფროსი მასწავლებელი, 2 მაძიებელი, 4 უსტატუსო- მოწვეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობასა და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუებში, კათედრების ოქმებში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიები, სადაც აღწერილია თანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესები. ასევე მშობლებთან ( ვიზიტის დროს ექსპერტები შევხვდით მშობელთა ფოკუს-ჯგუფს, ვინაიდან სკოლის რეაგტორიზაციის პროცესი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი საუბრისას გამოჩნდა, რომ სკოლაში მიმდინარე როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობს მათთვის ცნობილია, ყოველდღიურად აქვთ კონტაქტი დამრიგებელთან, ბავშვის როგორც წარმატებაზე, ისე მცირე წარუმატებლობაზე ინფორმირებული არიან, სკოლის დირექცია ესწრება ყველა შეკრებას, იციან რა იგეგმება სკოლაში, და ა.შ.) და ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

შპს მეცნიერებათა სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ გაწეულ წარმატებულ მუშაობას, წარმატებული გამოცდილების აღიარებას აკავშირებს დასაქმებულის მოტივაციასთან და შესაბამისად მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებს წახალისების ფორმებს: მაღლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა (შინაგანაწესი- მუხლი.10 დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი). თანამშრომელთა მოტივირების მიზნით სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს წარმატებული გამოცდილების აღიარება და მიღწევის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება. სკოლას აქვს სოციალური ქსელი <https://www.facebook.com/science.edu.ge> , სადაც მუდმივად ხდება მონაცემების განახლება, სკოლის ნებისმიერი მიღწევის



შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლის დირექცია სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს სსიპ -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვადასხვა არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ სურვილისა და ინტერესების შესაბამისად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია პედაგოგთათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და შეფასების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**  
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (დანართი 13 )
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 14)
- N გ-136 მაძიებელი(წერილი)
- პერსონალის ხელშეკრულებები (დანართი 15)პერსონალის პირადი საქმეები,

ბრძანება N01-136 „შპს მეცნიერებათა სკოლის სტრუქტურის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2023 წლის N 01-69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .( დანართი 10)

- N 01-29 ცვლილება შინაგანაწესში
- მასწავლებლის ვაკანსიის კონკურსი
- სოციალური ქსელი <https://www.facebook.com/science.edu.ge>

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

#### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

#### 1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზანს წარმოადგენს პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების დადგენა და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მიზნობრივი განვითარებისთვის. პერსონალის შეფასების ორგანიზებულად დაგეგმვისა და მართვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები (მუხლი 15. ბრძ. N01-72 07.07.2023წ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა) ამ დოკუმენტით სკოლა აფასებს პერსონალის (მასწავლებელი, სხვა თანამშრომელი) მიერ შეტანილ წვლილს სკოლის საქმიანობაში, სამუშაოს შეფასება ხელს უწყობს მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და სისუსტეების იდენტიფიცირებას (ნათელი ხდება რა არის გამოსასწორებელი). ამდენად, სკოლის საქმიანობის შეუფერხებელი მუშაობისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება. სკოლის პერსონალის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმით: ა) პერსონალის მიერ, ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შეფასება; ბ) პერსონალის შეფასება კომპეტენციების მიხედვით. ხოლო ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს და მოიცავს გასული პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას და სკოლის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრას. პერსონალის შეფასების ინსტრუმენტი სისტემატიზებული შეფასების კითხვარები. ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოსაფხვრელად.



პროფესიული განვითარების პროცესში პროფესიული ტრენინგების გავლა, კოლეგებთან თანამშრომლობა, პედაგოგიური საქმიანობის კვლევის საფუძველზე საკუთარი პროფესიული საქმიანობის და შესაძლებლობების ახლებურად გადაფასება. პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას სკოლაში აქცენტი კეთდება მასწავლებლის მხარდაჭერასა და შეფასებზე. სკოლაში მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის შექმნილია მხარდამჭერი გარემო. მასწავლებლები ეცნობიან ახალ მეთოდურ ლიტერატურას, ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს, აკვირდებიან და აანალიზებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, სისტემატურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, ითვალისწინებენ კოლეგების აზრს პროფესიული განვითარებაში. სხვა პერსონალისთვის შესაბამისი ტრენინგების ან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, თვითგანვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა დგება მათ საქმიანობაზე დაკვირვებით, საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, პროფესიული განვითარება ხდება როგორც შიდა რესურსებით, ასე გარე რესურსით. ტრენინგების შემდეგ დაბრუნებული პერსონალი თემატური საჭიროებების მიხედვით შემენილ გამოცდილებას უზიარებს სასკოლო საზოგადოებას. ადამიანური რესურსების განვითარება გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიან გეგმაში. სკოლაში ხარისხის მართვის მიმართულების მიზანია სწავლების ხარისხის ამაღლება და მასწავლებელთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა. სკოლაში ხდება შესრულებული სამუშაოს შეფასება, დგინდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს იგეგმება განვითარების პროცესი. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, მასწავლებლები თავადაც აქტიურად იძიებენ ინფორმაციას ბაზარზე არსებული განვითარების ხელშეწყობი აქტივობების შესახებ. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება სკოლას განსაზღვრული აქვს როგორც სტრატეგიულ გეგმაში ყოველ წელს, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

სკოლა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კადრების პროფესიულ და კარიერულ წინსვლას. ეს ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ძალისხმევით შედეგია. სკოლა მხარს უჭერს პერსონალის პროფესიულ ზრდას. წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრები, ხდება



ურთიერთდასწრებები, მასწავლებლები აწვდიან ერთმანეთს უკუკავშირს, ადგენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, უზიარებენ გამოცდილებას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების რელევანტური განვითარების გზების შეთავაზება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით; სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას და სკოლის განვითარებას. მასწავლებელთა კარიერული წინსვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ეტაპზე სკოლაში არის 1 მენტორი, 3 წამყვანი, 16 უფროსი მასწავლებელი, 2 მამიებელი, 4 უსტატუსო-მოწვეული. კოლეგები ეხმარებიან ერთმანეთს პროფესიულ განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში დამკვიდრებულია ახალი თანამშრომლის მხარდაჭერის კულტურა, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს არსებული გამოცდილების საფუძველზე (დანართი 44). ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესის მართვისას ხდება მაქსიმალური ინფორმირება და ჩართვა სკოლის საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში; ადაპტაციის და საორიენტაციო პროცედურების მიზანია ახალი თანამშრომლისთვის სასიამოვნო, კომფორტული გარემოს შექმნა, რაც დაეხმარება სტრესის მართვაში და ახალ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში; სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კოლეგები; კოლეგები მაქსიმალურად ხელს უწყობენ ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. სკოლა ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, ათვალთვინებს სკოლას, წარადგენს პედსაბჭოზე და/ან შეხვედრაზე, აცნობს ორგანიზაციულ კულტურას (ტრადიციებს, დამოკიდებულებებს, ღირებულებებს), ამატებს სკოლის საკომუნიკაციო სოციალურ ქსელში, აცნობს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და სამომავლო გეგმებს. კათედრის გამგე ადაპტაციის პერიოდში, უფრო აქტიურად ეკონტაქტება და საჭიროების შემთხვევაში აძლევს დამატებით რეკომენდაციებს. ადაპტაციის პერიოდის გავლის შემდეგ თანამშრომელი ავსებს კითხვარს „ახალი თანამშრომლის მიერ ადაპტაციის პერიოდის შეფასების კითხვარი“ (დანართი 44) ასევე კითხვარს ავსებს ის პირიც, რომელიც პასუხისმგებელია მის ადაპტაციის ხელშეწყობაზე „უშუალო ხელმძღვანელის ან მენტორის მიერ ახალი თანამშრომლის უნარების და კომპეტენციების შეფასების კითხვარი“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის თანამშრომელთა გამოკითხვებში გათვალისწინებულია მათი სურვილებისა და რეკომენდაციების შეთავაზება სკოლისათვის. პერსონალის ინიციატივები წახალისებულია პირველ რიგში დაგეგმარების პროცესში, ასევე გეგმები კორექტირების და განხორციელების



პროცესში, ხელი ეწყო პერსონალის ინიციატივებს პროფესიული განვითარების მიმართულებით; სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურის ხარისხი. მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ, ზრუნავენ საკუთარ და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე. მათთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ერთად იგეგმება და განიხილება გაკვეთილები, მუშავდება სიახლეები, აქვთ ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია და წახალისებულია სკოლის მიერ. პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება შინაგანაწესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 14 )
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დანართი 7)
- თანამშრომელთა ადაპტაციის წესი (დანართი 44)
- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები ( დანართი15)
- ხელშეკრულებები
- კათედრის ოქმი( დანართი 66)
- დანართი 51
- დანართი 52
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ( დანართი12)
- შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

#### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის მექანიზმები (ბრძ.01-113 04.10.2023 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა). პოლიტიკის დოკუმენტში თავი II. ხარისხის უზრუნველყოფის წესი, სადაც მუხლობრივადაა გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, რაც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან, მონიტორინგთან და შემდგომ მის შეფასებასთან, შემდგომი გასაუმჯობესებელი აქტივობების მართვასა და დაგეგმვასთან, რომლის მიხედვით პროცესების დაგეგმარება, მართვა, მონიტორინგი, შეფასება უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო პროცესს. ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. წარმოდგენილია 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მიზნით - შიდა კონტროლის განხორციელების მექანიზმები. ყოველივე ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. ხარისხის მართვის



პოლიტიკის დოკუმენტი ეხმარება სკოლას სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაში, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის მართვის მენეჯერის, სკოლის თანამშრომლების ვალდებულებები ამ მიმართულებით მუშაობისას. წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის( დანართი14), სკოლის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტები( დანართი 10). ყველა ამ დოკუმენტის შეჯერებით, ჩანს, რომ სკოლაში პროცესის მართვა განსაზღვრავს სკოლის ხარისხის განვითარების ციკლს, თითოეული სტრუქტურული რგოლის მუშაობის პრინციპებსა და ფუნქცია მოვალეობებს სკოლის მიზანმიმართული განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძ.01-113 04.10.2023) დეტალურადაა აღწერილია მმართველობითი სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა-(სტრატეგიული გეგმა), ერთწლიანი დაგეგმვა-(ერთწლიანი სამოქმედო გეგმა); ხარისხის უზრუნველყოფა-(ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა); ძირითადი-კურიკულუმის განვითარება;სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; დამხმარე პროცესები:განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;მოსწავლის სერვისების განხორციელება;საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა;ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა (2024-2025წ.წ), კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, უზრუნველყოფს სკოლის ძირითად პროცესებს (სასწავლო), მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით,სკოლის დებულება, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კათედრის საქმიანობით, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და მომსახურების მექანიზმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სკოლაში კანონიერ უფლებების დაცვას, აქედან გამომდინარე საჩივრების განხილვასაც. სკოლაში დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30.12 N167 /ნ ბრძანების საფუძველზე, შექმნილ სკოლის შინაგანაწესში არის მუხლები, რომელშიც გაწერილია როგორც თანამშრომელთა (მათ შორის მასწავლებლის, დამრიგებლის) ასევე მოსწავლეთა დარღვევის ტიპები და დისციპლინური სახდელები. სკოლის შინაგანაწესში მუხლი.22 ში წერია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/ საჩივარი რეგისტრირდება და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს მეცნიერებათა სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლის მიზანია სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებს მიეცეს ორგანიზებული სახე და დაინერგოს თანმიმდევრული მიდგომები. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურვილი ექნება სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც სკოლაში გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. სკოლაში პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების არასასურველი შედეგები კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლის თანამშრომელთა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები. ასევე სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია დასაქმებულთა უფლებების დაცვის საკითხები. დაწვრილებით არის გაწერილი დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება - მოვალეობები. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები დაცულია ზოგადი განათლების კანონის II თავის შესაბამისად. მოსწავლის მშობელთან და სკოლის პერსონალთან იდება ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება- მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მშობლის, პერსონალის დაცვის მექანიზმს. გარდა ამისა, მშობლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. მშობლებისთვის ასევე ხდება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესებით განსაზღვრული მექანიზმები, უფლებამოსილი ორგანოების ცხელი ხაზის ნომრები. რომელიმე უფლების დარღვევის შემთხვევაში, მშობელს, მოსწავლეს თუ ნებისმიერ



თანამშრომელს უფლება აქვს მიმართოს დირექტორს ან სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს და მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ხოლო სკოლა, თავის მხრივ, ვალდებულია ჩაატაროს ობიექტური და სრულყოფილი მოკვლევა დადგენილ ვადაში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტები( დანართი 10).
- სკოლის დებულება (დანართი 11)
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დანართი 12)
- შინაგანაწესი (დანართი 13)
- პერსონალის ხელშეკრულებები (დანართი 15)
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დანართი 16)
- <https://science.edu.ge/>
- ხელშეკრულებები(დანართი )

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება N 01-116-ით შპს მეცნიერებათა სკოლამ დაამტკიცა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთა ინფორმირების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა; მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე, აკადემიურ მოსწრების თაობაზე; მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში; სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა; სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა. ამავე ბრძანებაში გაწერილია მშობელთა უფლება-მოვალეობები. 10 მუხლისგან ( შესაბამისი ქვეპუნქტები) შემდგარ დოკუმენტში გაწერილია ყველა ის პროცედურა, რომელიც ხელს უწყობს აღნიშნული მიზნების მიღწევას, კერძოდ, მშობლებსა და სკოლას შორის საქმიან, თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში აფორმებს ხელშეკრულებას მშობელთან საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ, სადაც გაწერილია-სწავლის საფასური, მისი გადახდის წესი, ვადა და პირობები; მხარეთა უფლება-მოვალეობები (სკოლის, მშობლის/კანონიერი წამომადგენლის, მოსწავლის ვალდებულება-უფლებამოსილება). სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში დაგეგმვის პროცესების წინ ტარდება მშობლებთან შეხვედრები, მათი აზრის გასათვალისწინებლად, ასევე შეხვედრები იმართება სასწავლო წლის ბოლოს ერთგვარი ანგარიშის წარსადგენად, ასევე სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას ახდენს დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა კრებებზე საერთო კრებებზე, თუმცა ინდივიდუალური შეხვედრა ხდება ცალკეულ მშობელთან მის შვილთან დაკავშირებულ საკითხებზე. უკუკავშირი მიიღება შეხვედრების პროცესში გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საშუალებით. ელექტრონულ ჟურნალზე <https://schoolofscience.edupage.org/> წვდომა აქვთ მშობლებს შვილების გაკვეთილზე დასწრებისა და შეფასებების სანახავად დამრიგებლებს, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას, ყველა დაინტერესებულ მხარეს, აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სოციალურ ქსელში Facebook გვერდზე <https://www.facebook.com/science.edu>, ასევე ოფიციალური ვებ გვერდი <https://science.edu.ge/> ქვეყნდება სკოლაში მიმდინარე პროცესების ფოტოები, კომენტარები, რაც ასევე უკუკავშირის მიღების საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას. მშობელთან დამოკიდებულება და ზემოთ აღწერილი ფაქტები დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის დროს მშობელთა ფოკუს-ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუს დროს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ერთეულებისა და ცალკეული პოზიციებზე დასაქმებულთა დებულებებისა და**



სამუშაო აღწერილობების მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია ისეთი კოლეგიალური ორგანოები როგორიცაა: პედაგოგიურ საბჭო, საგნობრივი კათედრები, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება ისგ ჯგუფები. თითოეული აღნიშნული სტრუქტურული ორგანო ჩართულია მისდამი დაქვემდებარებული საკითხების შემუშავებასა და მართვაში. კერძოდ, პედსაბჭო მონაწილეობს ისეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/განხილვა. საგნობრივი კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, ვალიდაციას უკეთებენ დამხარე რესურსებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით ( დამრიგებლების მიერ მოკვლეული ინფორმაციით მოსწავლის შესახებ,მშობელთა გამოკითხვა, მოსწავლეთა ინტერესი, შესაძლებლობები, საჭიროებები) შექმნილია კლუბები, სადაც პირველი კლასიდან მე-7 კლასის მოსწალები არიან ჩართულნი.სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმების, ანგარიშების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სკოლაში მიმდინარე საქმიანობის საკითხებში, ისინი მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილ სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.კომუნიკაციას სკოლის დირექციასა და მშობლებს შორის არის აქტიური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სამუშაო ჯგუფის ოქმები (დანართი 2)
- პედსაბჭოსა და კათედრების ოქმები (დანართი 17)
- მშობლის ინფორმირების/კომუნიკაციის წესი (დანართი 32)
- მსობელთა კრების ოქმი(დანართი37)
- კათედრის პორტფოლიო( დანართი51
- კათედრის ოქმი( დანართი52)
- მასწავლებლის ანგარიშები(დანართი53)
- მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა( დანართი 60)

### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4.

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მაქსიმალურად უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია და შეზღუდულია სკოლის შიდა პერიმეტრზე ნებართვის გარეშე გადაადგილება.

სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ექვემდებარება დირექტორს და რომლის ფუნქციასაც სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე, შიდა ეზოსა და შესასვლელში განთავსებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. კერძოდ, შიდა (სამსართულიანი შენობა 8 სათვალთვალო კამერა), ასევე გარე (7 სათვალთვალო კამერა). შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციებიც. შენობის ყველა სართულზე გამოკრულია სავაკუაციო გეგმა(დანართი23), განთავსებულია ცეცხლმაქრები, საგანგაშო ღილაკები, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოება უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი N441 (26.06.2024წ) დასტურდება (დანართი 18).ასევე სკოლას დამტკიცებული და შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილი MIA 6 23 03451625, 26.11.2023. დანართი 20).სკოლას აქვს 2020 წლის 2 მარტს გაცემული შპს „ოპტიმუსი“-ის მიერ შენობის მდგრადობისა და ექსპლუატაციის დასკვნა (დანართი19. ,, დასკვნა - ქ. გორი, გორგასლის ქ.N1-ში ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.45.27.070) მდებარე სამსართულიანი შენობის. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი შემდგომი ექსპლუატაცია უსაფრთხო.). შპს მეცნიერებათა სკოლას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი( ერთწლიანი ხელშეკრულებით). გაწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში ამ პოზიციაზე დასაქმებული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის პერიოდში სისტემატიურად აწარმოებს მონიტორინგს სკოლის ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრზე. ამასთანავე, სკოლას ჰყავს დაცვის ოფიცერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. თითოეულის ხელშეკრულებაში გაწერილი მათი ფუნქციები და მოვალეობები სკოლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი



ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის პროტოკოლი (დანართი 40), რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. ამ ეტაპზე არ ჰყავთ ექიმი (ვაკანსია დადებულია საიტზე)თუმცა სკოლაში დასაქმებულია ექთანი( დანართი ექთანი-შრომითი ხელშეკრულება N07-12 19.05.2024წ) ხელშეკრულების მუხლი4. თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახეები დეტალურადაა ასახული ექთნის მიერ შესასრულებელი ფუნქციები. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დავათვალიერდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, სრულად აღჭურვილია. ექთანმა წარმოადგინა ჩანაწერების ჟურნალი. ასევე ინფორმაცია ელექტრონულად ასახულია კომპიუტერში, ამ ჩანაწერებში ასახულია სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომელი, რომელთაც მიმართეს დახმარებისთვის ექთანს და რა პირველადი დახმარება გაეწია მათ( რაც შედის ექთნის კომპეტენციაში ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად) , კერძოდ, ექიმის არ ყოფნის შემთხვევაში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება პირველადი დახმარების აღმოცენის შესახებ, ჩაატაროს საჭირო მანიპულაციები, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა საჭიროების შემთხვევაში.მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს ქრონიკული დაავადების მქონე მოსწავლეს შესაბამისი პრეპარატის მიღებაში, დაეხმაროს შშმ მოსწავლეს. ასევე მონაწილეობას იღებს სკოლის სანიტარულ- ჰიგიენურ ზედამხედველობაში, მოსწავლეთ ჯანმრთელობითი განათლების და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

### 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებულია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გადაგზავნილია,„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ (წერილი Nგ-137, 25.12.2024წ. დანართი 21) სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე,



როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### 4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

შპს მეცნიერებათა სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოთხოვილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა სკოლის ფსიქოლოგის მიერ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს მთავარი მიზნები და ამოცანები: სკოლის ადმინისტრაციას დაეხმაროს ყველა ბავშვისთვის ბედნიერი, ჯანმრთელი, უსაფრთხო, პოზიტიური და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაში. კერძოდ, ამოიცნონ მოსწავლეების საჭიროებები და აღიარონ მათი კეთილდღეობის პრიორიტეტულობა, რადგან სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება და ნოყიერი ნიადაგის შექმნა სწავლის მოტივაციის, ხალისის და მიღწევის მოტივაციის თვალსაზრისით. დაუძაბავი, ადამიანური ატმოსფერო და ურთიერთპოზიტიური შეფასება, როგორც მოსწავლე-მასწავლებლის, ისე მშობელი-ბავშვის ურთიერთობაში, არის გადამწყვეტი სწავლის მოტივაციისათვის (დანართი. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა სასწავლო პროცესის ფარგლებში). ფსიქოლოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მას აქვს კლასებთან შეხვედრები, ეკონტაქტება კლასის დამრიგებლებს, მათთან ჩართულობით ადარებს თავად დაკვირვების დროს მოპოვებულ ინფორმაციებს დამრიგებლისა და მშობლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს, და გეგმავს ტიპიური განვითარების მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან ჩართულობით განსახორციელებელ აქტივობებს მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, ბუღინგის თავიდან აცილების, ემპათიის უნარის განვითარებისთვის ( ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე), რაც ძალიან მნიშვნელოვანია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შენარჩუნებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლის მუშაობის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს აღზრდის მთლიანობა, რაც გულისხმობს - სადამზრდელო მუშაობის წარმართვას პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისკენ, ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ამ მიზნით სკოლის შემუშავებულია დირექტორის მიერ 2023 წლის 06 ოქტომბერს ბრძ. N01/117 შპს მეცნიერებათა სკოლის სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და წესები, რის საფუძველზეც მუშაობს სკოლა. მათ შორის დამლაგებლებს ევალებათ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს ( მაგალითად 2025 წლის 17 იანვრის ხელშეკრულება N07-01) სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია. სკოლაში ფუნქციონირებს სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი. სკოლას შემუშავებული აქვს და აწარმოებს შემდეგი შინაარსის ჟურნალებს: სველი წერტილების ყოველდღიური დალაგების, წმენდის და დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი; დალაგებისა და წმენდის აღრიცხვის ჟურნალი; გენერალური დალაგების აღრიცხვის ჟურნალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### **6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. იმისათვის, რომ არ მოხდეს დაცულ მონაცემებთან უცხო პირთა მოხვედრა, სკოლას განსაზღვრული აქვს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, მათი პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემების განთავსებულია <https://pdps.ge/ka/content/1012/4470/Sps-mecnierebaTa-skola-> ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

#### **7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

შპს მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლის დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის ბრძ. N01-32 დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცედურები, რისი დაცვა და მონიტორინგი დაკისრებული აქვს საინფორმაციო მენეჯერს. მითითებულ ბრძანებაში მუხლობრივადაა გაწერილი ყველა ის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით უსაფრთხოებას, მოსწავლეთა და დასაქმებულთა დაცვას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დროს. სკოლის კომპიუტერები უზრუნველყოფილია ანტივირუსებით, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერუსაფრთხოების დაცვა. სკოლის დირექცია მიმართავს თანამშრომლებს, რომ უზრუნველყონ სკოლის

კომპიუტერში საკუთარი ფოსტით, სასკოლო ჟურნალით სარგებლობის შემდეგ გამოვიდნენ საკუთარი ექაუნთებიდან, არ დატოვონ ღია, რათა გამოჩენილი იქნას მაქსიმალური სიფრთხილე და არ მოხდეს სკოლის ინფორმაციის უკანონოდ გადინება. აქვს კომპიუტერი-28, ლეპტოპი- 12, მონიტორი- 11, პრინტერი-8, პროექტორი-5. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;**

შპს მეცნიერებათა სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. სკოლას შექმნილი ჰყავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში. ასევე, სკოლას აქვს საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი. სკოლა ყოველთვის ითვალისწინებს კანონმდებლობის ცვლილებებს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის სიახლეების ასახვასა და დანერგვას სკოლაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტები( დანართი 10).
- სკოლის დებულება (დანართი 11)
- სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი(დანართი 18)
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ (დანართი 19)
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება (დანართი 20).
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები (დანართი 21)
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (დანართი 22)
- საევაკუაციო გეგმა.(დანართი 23)
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები (დანართი 24)



- ინტერნეტით სარგებლობის წესი( დანართი 29)
  - პირველადი დახმარების აღმოჩენის პროტოკოლი (დანართი 40)
    - დანართი.შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
    - დანართი. შრომის უსაფრთხოება( დანართი 21)
    - დანართი. დაცვის ოფიცერი;
    - დანართი. ხელშეკრულებები დამლაგებელი
    - დანართი. სასწავლო პროცესის მენეჯერი
    - დანართი. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა სასწავლო პროცესის ფარგლებში
- შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს მეცნიერებათა სკოლა სარგებლობს 8012.00კვ.მ ფართით, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (2521.70 კვ.მ) შენობა არის 3 სართულიანი, სადაც განთავსებულია 22 საკლასო ოთახი (1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 მუსიკის ოთახი, 1 კომპიუტერული ლაბორატორია). პირველ სართულზე განლაგებულია - დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), 3 სველი წერტილი (1 შშმ პირებისთვის), სამედიცინო ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელელებით გოგონებისათვის და ბიჭებისათვის და სათავსო სპორტული ინვენტარისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ოთახი, ფინანსური და საინფორმაციო მენეჯერის ოთახი, დამხმარე სათავსო. მეორე სართულზე განთავსებულია- სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა წიგნსაცავით, კომპიუტერული ლაბორატორია, გასართობი სივრცე, 2 სველი წერტილი, მესამე სართულზე - 1

საკონფერენციო ოთახი და 1 ოთახი სკოლის ინტერნეტ ტელევიზიისთვის- [https://science.edu.ge/neo-tv-](https://science.edu.ge/neo-tv-%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%97%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1/)

[%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90-](https://science.edu.ge/neo-tv-%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%97%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1/)

[%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%97%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1/](https://science.edu.ge/neo-tv-%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%97%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1/) . სკოლას დაახლოებით 7 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსებული აქვს კეთილმოწყობილი ეზო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით- მოსასვენებელი სივრცეებით, საცდელი მეურნეობით( მევენახეობა- მოშენებულია და უვლიან ძველი ჯიშების ყურძენს), მშობელთა მოსაცდელი სივრცით. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით გარე პერიმეტრზე და შენობის დერეფნებში. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და თანამედროვე რესურსებით (კერძოდ, კომპიუტერები-28, პროექტორი-5, მონიტორი-11, პრინტერი -8, ლეპტოპი -12, ვირტუალური ლაბორატორიები). სკოლის შენობის

პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია შშმ პირთათვის შესაბამისი ნორმებით მოწყობილი პანდუსით, მეორე და მესამე სართულზე ასასვლელიც უზრუნველყოფილია კიბის კედლებზე მიმაგრებული პანდუსებით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტროკატალოგი, ელექტრონული რესურსების ბაზა, ჟურნალი, პროექტორი და კომპიუტერი. ოთახში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი(დანართი 25) . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლაში, ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ შემდეგი სივრცით: კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, სკოლის ეზოში მოწყობილი აქტივობების სივრცეებით. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზით, რომელიც სააქტო დარბაზის ფუნქციასაც შეასრულებს. სკოლაში მოქმედებს როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ბიბლიოთეკა. მისით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს არსებული რესურსი. ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია ( დანართი 26) , რომლით სარგებლობაც შეუძლიათ მოსწავლეებს დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, რესურსითა და მედიკამენტით. სკოლაში არის კვების ბლოკი, სადაც დღეში ორჯერ ხდება მოსწავლეთა უფასო კვება. ორ დარბაზში, მოსწავლეების შედიან კლასების მიხედვით, ორ ნაკადად.კვების ბლოკის შესასვლელში გამოკრულია განრიგი, მენიუ, არის ხელსაბანი და სამზარეულო, სადაც დაცულია ჰიგიენური პირობები. საკვები მზადდება ადგილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს.**

კერძოდ, მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, ყველა სართულზე არის საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის შესაძლებლობა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**



სკოლას აქვს დარბაზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. დარბაზში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობების ჩატარება, როგორც სპორტული ასევე ინტელექტუალური და შემოქმედებითი. დარბაზში, ეზოში, ბიბლიოთეკაში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობა ცნობილ ადამიანებთან, კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ბიბლიოთეკას იყენებენ, როგორც მოსწავლეები, ისე პასწავლებლები. სკოლის მოლაპარაკე კედლები საგამოფენო სივრცეების ფუნქციას ასრულებენ, სადაც მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრები, ნახატებია გამოკრული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

##### 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, კვების ბლოკი, შიდა ეზო, ბიბლიოთეკა და დერეფნის სივრცეები კარგი საშუალებაა დასვენების, სოციალური ინტერაქციისა და ჯგუფური აქტივობების განსახორციელებლად. აღნიშნული სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი სივრცეების დიზაინი მიმზიდველი, კომფორტული და ხელსაყრელია სოციალიზაციისათვის. აღნიშნული სივრცეების შესახებ ინფორმაცია (სურათები) განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ისინი განკუთვნილია საგანმანათლებლო მიზნების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების, სემინარების, სპექტაკლების, შეხვედრების ორგანიზების და სხვა გამოყენებისათვის. სივრცეები ადაპტირებადია სხვადასხვა აქტივობებისათვის. ხელმისაწვდომია Wi-Fi კავშირი. სოციო - კულტურული სივრცეებით სარგებლობისას სასკოლო საზოგადოებაზე ვრცელდება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

##### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი 4)
- შენობა ნაგებობის სქემა (დანართი 43)
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დანართი 25)
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დანართი 27)
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი (დანართი 26)

### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

#### 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

შპს მეცნიერებათა სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა გამართულია, რაც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულფასოვან წარმართვას. ამ ეტაპზე სკოლას აქვს 12 ლეპტოპი, 28 კომპიუტერი, 11 მონიტორი, 8 პრინტერი და 5 პროექტორი. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერი, ლეპტოპი, პროექტორი. ლაბორატორიას სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც. პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის, ხოლო მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ ლაბორატორიით. კომპიუტერი და პროექტორი დგას ბიბლიოთეკაშიც, დირექტორის კაბინეტში, საქმისმწარმოებელთან,

მოადგილესთან. აქვთ პრინტერები. საკლასო ოთახებში განთავსებული ტელევიზორები გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში ციფრული რესურსებისთვის. სკოლაში გამართული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვას. მაქსიმალურად მცირე დროში სრულდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან შემოსული დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება. ასევე სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დანართი 27)
- ინტერნეტის ხელშეკრულება(დანართი 28)
- ვებ-გვერდის ხელშეკრულება(დანართი 29)
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (დანართი 45)

schoolscience.gori@gmail.com

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად



1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

#### 1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

შპს მეცნიერებათა სკოლას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს სკოლის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესის (დანართი 30. 2022 წლის 27 დეკემბრის ბრძ. N 01-144, 2023 წლის 28 დეკემბრის ბრძ. 01-144 -ში შევიდა ცვლილება ბრძანება N01-147) შესაბამისად. ამ ცვლილებით მუხლი 4. პუნქტი 4. შემოსული და გასული დოკუმენტაციის იდენტიფიკაციის გასაუმჯობესებლად შეიცვალა დოკუმენტის რეგისტრაციის პირობა. საქმისწარმოების ინსტრუქციის მიზანია შპს მეცნიერებათა სკოლაში საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ის აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა- ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას. ღებულობს და ამუშავებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს მის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. სკოლაში შემოსული დოკუმენტის მიღებას, დოკუმენტების გადაცემა ხელმძღვანელობისა და შემსრულებლებისათვის. (საქმის მწარმოებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია 2024 წლის 23 დეკემბრის ბრძ. N 01-136 დანართი 10). სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი: საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

#### 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა იყენებს როგორც შიდა (ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - eSchool -ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს. eSchool-ის სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაცია, დასაქმებული პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების



მონაცემები. წერილებს სკოლა ღებულობს სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე [schoolofscience.gori@gmail.com](mailto:schoolofscience.gori@gmail.com). სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტრუნვის <https://schoolofsciencedocs.schoolbook.ge/login> სისტემას სკოლის მართვისთვის. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი მოსწავლეთა <https://schoolofscience.edupage.org/> დასწრებისა და ქულების დასაფიქსირებლად. ამ ფაქტთან დაკავშირებით წარმოდგენილია დანართი 31 - ელექტრონული დოკუმენტრუნვა schoolbook. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

eSchool-ში სკოლას აქვს პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინფორმაცია თანამშრომლების, მოსწავლეების, კლასების, საგნების, საგაკვეთილო ცხრილის, ექსტერნის გამოცდების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4 სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი. შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება განსაზღვრული/მოთხოვნილი ვადების დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი (დანართი 30)

ზოგადი განათლების მართვის სისტემა Eschool

დანართი 31- ელექტრონული დოკუმენტრუნვა  
schoolbook

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.**

შპს მეცნიერებათა სკოლას აქვს ძალიან საინტერესოდ ორგანიზებული და შინაარსობრივად დატვირთულია ოფიციალური ვებ-გვერდი <https://science.edu.ge/>, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, დოკუმენტაცია, ღონისძიებებისა და აქტივობების ამსახველი ფოტოვიდეო მასალა შეუძლია ნახოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. ასევე სოციალურ ქსელში Facebook გვერდი <https://www.facebook.com/science.edu.ge> განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების და სიახლეების შესახებ. ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის სასკოლო საზოგადოებას, შეუძლია გაეცნოს სკოლის ცხოვრებას ამ საკომუნიკაციო საშუალებებით. სკოლას აქვს [schoolofscience.gori@gmail.com](mailto:schoolofscience.gori@gmail.com), რომელიც მითითებულია ვებ გვერდზე და გამოიყენება მიმოწერისთვის, როგორც შიდა სასკოლო სივრცესთან (სასკოლო საზოგადოება, ისე გარედან დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი მოსწავლეთა <https://schoolofscience.edupage.org/> დასწრებისა და ქულების დასაფიქსირებლად. კომუნიკაციის ეფექტიანად მართვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შპს მეცნიერებათა სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესი (დანართი.32) სკოლას აქვს გაფორმებული დომენური სახელის ხელშეკრულება N2024082225537 შპს Domenebi.ge ხელშეკრულება წარმოდგენილია დანართის დომენი და ჰოსტინგი სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლის მიერ ყველა გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც იდება სოციალურ ქსელში სკოლის საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარი და სანდოა. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სწორი ინფორმაციების გავრცელებას. ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე პირი, ვისაც აქვს სათანადო უფლებამოსილება და კომპეტენცია გაავრცელოს ინფორმაცია დაწესებულების სახელით. ეს ადამიანები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში ავრცელებენ სათანადო ინფორმაციებს სასკოლო საზოგადოებისათვის. დამრიგებლები, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ხდება ინფორმაციის დამუშავება, გადამოწმება და შესაბამისი რეაგირება. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვა. ხდება ინფორმაციის დამუშავება, გადამოწმება და შესაბამისი რეაგირება. რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება კომუნიკაციის მექანიზმების და საკომუნიკაციო არხების მუშაობის გაუმჯობესება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

შპს მეცნიერებათა სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი <https://science.edu.ge/> ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდები სადაც ინფორმაცია იდება მხოლოდ ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლების ენა ქართულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.ვებ გვერდი <https://science.edu.ge/> /ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, საფასური, სკოლის კანონმდებლობა, სკოლის დებულება, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, ბლოგი და (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები



- საქმის წარმოების წესი (დანართი 30)
- 5 საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დანართი 32)
- 6 ვებ-გვერდი <https://science.edu.ge/>
- 7 Facebook გვერდი <https://www.facebook.com/science.edu.ge>
- დანართი დომენ და ჰოსტინგი
- სკოლის იმეილი [schoolofscience.gori@gmail.com](mailto:schoolofscience.gori@gmail.com)

#### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.7 ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

## 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სკოლას აქვს დაფინანსება როგორც სახელმწიფოს მიერ კერძო სკოლებისათვის გათვალისწინებული ვაუჩერის სახით, ასევე ძირითადი შემოსავალი, რომელსაც წარმოადგენს მოსწავლეთა სწავლის საფასური. შპს მეცნიერებათა სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს საპროგნოზო ბიუჯეტს( სკოლის მიერ წამოდენილია 2024 და 2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტები დანართი 33), რომელშიც განისაზღვრება შესასყიდი ნივთების, რესურსების, დასაქმებულთა ხელფასები. წარმოდგენილი მონაცემებით ჩანს, რომ არსებულ 2024 და 2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტებში გათვალისწინებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა

კერძოდ, სკოლა თანხებს განკარგავს ბიუჯეტის მიხედვით. სკოლას ჰყავს ფინანსური მენეჯერი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით ადგენს სკოლის ბიუჯეტს და ხელმძღვანელობს მის რეალიზებას, ამუშავებს და ამზადებს ყველა სახის ფინანსურ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, მონიტორინგს უწევს ფინანსური დოკუმენტების სისწორეს, მონიტორინგს უწევს სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სიზუსტეს, მონაწილეობს სკოლის ინვენტარიზაციის (დანართი 34) ჩატარებაში. შეიმუშავებს ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიას, გეგმავს და მართავს ფინანსურ საქმიანობას, შეიმუშავებს და პრაქტიკაში განახორციელებს საგადასახადო პოლიტიკას, ახდენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაანგარიშებაზე ზედამხედველობას, კონტროლს, ადგენს და აკონტროლებს ორგანიზაციის წლიურ, კვარტალურ, თვიური ბიუჯეტებს. აკონტროლებს ფულადი სახსრების მოძრაობას. ამზადებს ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგებებს განათლების სექტორში არსებული და საერთაშორისო სტანდარდების მიხედვით და წარადგენს ხელმძღვანელობასთან. სკოლა დარეგისტრირებულია <https://saras.gov.ge/> და შესაბამისად მოხდება კომპანიის ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი (დანართი 33)
- 2023 წლის ინვენტარიზაციის ოქმი. (დანართი 34)
- ფინანსური ანგარიშგება და ფინანსური ანგარიში( დანართი)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

##### 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

##### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვა. მოსწავლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები. რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ იქნება დამტკიცებული, სკოლაში მოსწავლეთა დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების თანამშრომლები (უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დაცვის თანამშრომელი. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლება-მოვალეობა/წახალისება, დისციპლინური წარმოების თავისებურებები, აქვეა გაწერილი დისციპლინური წარმოების წესი და მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები. სკოლა შინაგანაწესით არეგულირებს ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და თანაბარ პირობებში სასწავლო მიზნებისათვის ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ისარგებლოს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სსმ პირებისათვის საგანმანათლებლო სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობისათვის გეგმავს საჭიროებიდან გამომდინარე ინდგემების შემუშავებას. სკოლა არ ზღუდავს მოსწავლეებს და მათ გაერთიანებებს წინასწარ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრებას. სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი

გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის მიხედვით სკოლის მოსწავლეს საშუალება აქვს სკოლის ტერიტორიაზე მიიღოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. შპს მეცნიერებათა სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მოსწავლის პირადი ინფორმაციის დაცვას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფაკულტატურული სახით შესთავაზონ მოსწავლეებს კლუბები და წრეები, რაც მათ არჩევანის თავისუფლებას აძლევს. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შანსის მიცემას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## **2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო რეგულაციების შექმნის პროცესში. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი-შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე. განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნულისა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსის გაცნობის უფლება/შესაძლებლობა აქვს სასკოლო საზოგადოებასა და ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის მშობლებს (კრებაზე) და მოსწავლეებს (კლასის საათზე) დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ აღნიშნულ დოკუმენტს. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან ერთის მხრივ როგორც შინაგანაწესის ნაწილი (თავად შინაგანაწესი კი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და მეორეს მხრივ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდზე <https://science.edu.ge/> (თავი. კანონმდებლობა) მისი განთავსება. სკოლის შიდაინფორმაციული აქტების გაზიარების ვალდებულება აქვთ დამრიგებლებს ასევე პირისპირ შეხვედრებზე. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ამ მიმართულებით ინფორმირებულია. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## **3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელსაც დამრიგებელი/საქმისწარმოებელი/ფინანსური მენეჯერი აცნობს და განუმარტავს. ხელშეკრულება არის გამჭვირვალე, მკაფიო, გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეების შესახებ ინფორმაცია (კანონით გათვალისწინებული რეკვიზიტები), ხელშეკრულების საგანი, მომსახურების სახეები, მხარეების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ხელშეკრულების ღირებულება, გადახდის გრაფიკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა( დანართი9)



- შინაგანაწესი (დანართი 13)
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დანართი 16)
- პერსონალურ-მონაცემთა-დაცვის-მექანიზმები(დანართი 24)
- დანართი 25 ბიბლიოთეკა
- დანართი 26 ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- დანართი 27. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- დანართი 32 მშობლის ინფორმირება მეცნიერებათა სკოლა
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება (დანართი 38)

#### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძ. N01-59დანართი 35), რომელიც შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეთა განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვა. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოხდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტით. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მოსწავლეთა მობილობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს, ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება სკოლაში, კლასში არსებული თავისუფალი ადგილების გათვალისწინებით. ამორიცხვა ხდება მობილობის საფუძველზე, მშობლის განცხადებისა და მიმღები სკოლის მოთხოვნით. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე ან 45 დღის განმავლობაში არ გამოცხადების შემთხვევაში გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. **ინდიკატორი**



დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა

**ხელმისაწვდომი;** სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისები გარდა ქართული ცეკვის სტუდიისა, არ საჭიროებს დამატებითი თანხის გადახდას მშობლის მხრიდან. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბი: ციფრული ტექნოლოგიების კლუბი, ლიტერატურული კლუბი, ეკოკლუბი სკოლაში არსებული შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის გაცნობას უზრუნველყოფს დამრიგებელი მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს მისი გაცნობის საშუალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობას. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა აქტიურად ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (დანართი 35)

• სსგ 2024-2025 (დანართი 9)

დანართი -კლუბები დებულება

სკოლის ვებგვერდი

სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

ი გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმების უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. ტრანზიციის მხარდამჭერ აქტივობებში სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის ადაპტაციისათვის საჭირო პროცედურებსა და აქტივობებს. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში გადმოსულ ყველა მოსწავლეს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას. კერძოდ, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს. აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს. სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია კლასის დამრიგებელს.

გასაუმჯობესებს სკოლის დირექციამ და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს, რომ სასკოლო გარემოში მოსწავლის ადაპტაცია/ტრანზიციის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერ პრობლემა (იქნება ეს ფიზიკური, ემოციური თუ ფსიქოლოგიური) დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის ხარისხზე, შრომისუნარიანობაზე, ურთიერთობების ხარისხზე. ამიტომ სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საზეიმო ღონისძიება, საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების შესაბამისად. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობებისა და დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების სხვადასხვა პროექტის ფარგლებში საჭირო მატერიალური რესურსის გამოყოფას. სკოლის დირექტორმა გასაუმჯობესებს აღნიშნა, რომ სასწავლო გარემოსთან ახალი მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით იგეგმება

სხვადასხვა სასკოლო აქტივობები, მათ შორის არაფორმალური მიმართულებით, სადაც მათი მონაწილეობა აჩენს სკოლის სიყვარულისა და მიკუთვნებულობის გრძნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი. კლასის დამრიგებელი რეგულარულად, ინდივიდუალურად აცნობს მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ სხვადასხვა საგნებში, კოორდინაციას უწევს მშობლებისა და საგნის მასწავლებლების კავშირს, რაც უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას მოსწავლის საჭიროებების დადგენაში და სწავლა-სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები უზრუნველყოფენ ჯგუფური ან ინდივიდუალური დამატებითი გაკვეთილების ჩატარებას მოსწავლეებისათვის. შპს მეცნიერებათა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები: სემესტრული გამოცდა; საშემოდგომო გამოცდა; ექსტერნატის ფორმით დამღევის გამოცდა. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა; მოსწავლისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება შესაბამის საგანში კონსულტაციები. ზოგადად, მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ სასწავლო მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაში, მასალის გაგება-გააზრებაში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაში და თვითშეფასებაში.

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ დიაგნოსტიკური ტესტების ჩატარების შემდეგ კეთდება ანალიზი, დგინდება მოსწავლეთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შემდეგ კი პედაგოგები აძლევენ რეკომენდაციებს, რჩევებს, თანამშრომლობენ მშობლებთან მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. მიეწოდებათ ინფორმაცია, უწევთ თუ არა საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარება. ასევე, რა ვადაში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება, ეცნობებათ მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარების მიზნით ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფას. გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას, რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის თანამშრომლები, მუდმივად მზად არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის გაღმავებასა და შედეგების გაუმჯობესებაში, სწორედ ამ მიზნით უწევენ მოსწავლეებს კონსულტაციებს სწავლასთან დაკავშირებით. ასევე, მან აღნიშნა, რომ მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დასაქმებული

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა: ექსკურსიები, თეატრებში გასვლითი ღონისძიებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძიება ეწყობა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. შპს მეცნიერებათა სკოლა გამოთქვამს მზაობას მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, არაფორმალური აქტივობების შესახებ. მიღებული ინფორმაციის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ. ფასდება წარმოდგენილი უკუკავშირის რელევანტურობა, ისახება გაუმჯობესების გზები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო პროცესში. ინფორმაციის მიღება ხდება სხვადასხვა საშუალებებითა და საკომუნიკაციო არხებით: ინდივიდუალური გასაუბრება, კითხვარების შევსება, მშობელთა კრებებზე მიღებული რჩევები, რეკომენდაციები. ყოველივე ამის გაანალიზების შედეგად ხდება მომსახურების ცვლილება ან გაუმჯობესება.

სკოლაში ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ როდესაც მოსწავლეს უჩნდება სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, ჯერ საგნის მასწავლებელი იწყებს დამატებით მუშაობას მოსწავლესთან, დახმარების მიზნით აწვდის ინფორმაციას მშობელს, შემდეგ ერთვება კლასის ხელმძღვანელი.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ თუ სკოლა ვერ დაინახავს მოსწავლის პროგრესს, მაშინ სკოლა, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართავს ფსიქოლოგს შეფასებისთვის. შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო საქმიანობის დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის პოლიტიკა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის ვებ. გვერდი/facebook გვერდი;

#### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს მეცნიერებათა სკოლა მიმდინარე ეტაპზე სწავლებას ახორციელებს მხოლოდ პირველიდან მე-7 კლასის ჩათვლით, სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, უკვე მჭიდროდ თანამშრომლობს კოლეჯთან „ამაგი“, უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებასთან. აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც მათი წარმომადგენლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას პროფესიების შესახებ. ასევე, სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის მოთხოვნილი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა რეგულარულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. სკოლის წარმომადგენლები ახორციელებენ ვიზიტებს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად, ისინი ადგილზე ეცნობიან შეთავაზებულ პროფესიებს და ბავშვებთან ერთად გეგმავენ არჩევანის გაკეთების საკითხს.

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ შესაძლოა, მომავალი სასწავლო წლის საათობრივ ბადეში გაითვალისწინონ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოფს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრას. ანალიზის საფუძველზე შეიმუშავენ მისი დამღევის სტრატეგიებს. აღნიშნულის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კათედრების ანგარიშები. სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელთა გამოკითხვით მუდმივად ახდენს მიმდინარე წლის შედეგების შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავს ღონისძიებებს სწავლა-სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის პოლიტიკა;
- კათედრების ანგარიშები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის ვებ. გვერდი/facebook გვერდი.

#### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, სკოლა სრულად არის ადაპტირებული სსსმ/შშმ მოსწავლეებისთვის. შესაფერისია ფიზიკური გარემო, ხელმისაწვდომია თავისუფალი გადაადგილება პანდუსის და ე.წ. „მოძრავი პანდუსების“ მეშვეობით; სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო, შენობის პირველ სართულზე საჭიროების შემთხვევაში, მოეწყობა რესურს ოთახი. შესაბამისად, სკოლის ფიზიკური გარემო სრულ შესაძლებლობას იძლევა სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში სრულყოფილი ჩართვისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის დღის რეჟიმი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან სწავლებისა და განვითარების თანაბარი პირობები. სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში ინკლუზიურ განათლებას ეთმობა ცალკე თავი, სადაც გაწერილია ყველა საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიას. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება მასწავლებლების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას არ ერიცხება სსსმ მოსწავლე, ამიტომ სკოლის დირექციამ სკოლის მასწავლებლებთან ერთად გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა, საჭიროების შემთხვევაში შექმნის ისე ჯგუფს, ჯგუფი განსაზღვრავს მოსწავლის აქტუალურ დონეს, განიხილავს მოსწავლის ძლიერ და გასავითარებელ მხარეს, დაკვირვების შედეგად მოიპოვებენ და დაამუშავებენ ინფორმაციას და შედეგად, შეადგენენ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროების გათვალისწინებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ჯგუფი განსაზღვრავს მოკლევადიან და გრძელვადიან მისაღწევ მიზნებს, შეარჩევენ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს და განახორციელებენ სასკოლო დავალებების ადაპტირებას. ყველა პროცესში ჩართული იქნება მშობელი და გათვალისწინებული იქნება მისი ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მეცნიერებათა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგი სახის დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას -გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მძღოლთან (ფ/პ), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას დღეში ორჯერ (სკოლაში მიყვანა/სკოლიდან გაყვანა) წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული მარშრუტით. სკოლაში არის კვების ბლოკი, რომელშიც დანერგილია ჰასპის სტანდარტი. სკოლის კვების ბლოკის მდგომარეობა შეისწავლა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ. ასევე, სკოლა თავის მხრივ, მუდმივად უწევს მონიტორინგს სასკოლო კვების ობიექტს. სკოლის ექთანი რეგულარულად ამოწმებს კვების ობიექტზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ყველა მშობლისათვის. სკოლის პირველ სართულზე საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია მომსახურების შესახებ ინფორმაცია. ასევე, კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მშობლებს კრებებზე. სკოლის დირექტორმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ ნებისმიერ მსურველს აქვს უფლება და საშუალება მიიღოს სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისები. ზემოაღნიშნული სერვისების საჭიროება დადგენილია და ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. გათვალისწინებულია

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სურვილი. სერვისის მიწოდება უზრუნველყოფილია კანონმდებლობის სრული დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განათლების მიღების უფლებას და განვითარების ხელშეწყობას. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მოსწავლე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თავად იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ. სურვილის გამოხატვის შემთხვევაში კი მხარეებს შორის ხდება პირობების გაცნობა, შეთანხმება და შემდგომ მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ტრანსპორტის ხელშეკრულება;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის აქტი.( დანართი39)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2                                           | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი<br>( დაწყებითი საფეხური)           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება              | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია   | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

##### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას- ინდიკატორი დაკმაყოფილია;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები- ინდიკატორი დაკმაყოფილია;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ- ინდიკატორი დაკმაყოფილია;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ- ინდიკატორი დაკმაყოფილია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

##### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;



2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;
  2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;
  3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
  4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
  5. მუსიკასა და სახვით ხელოვნების სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ არის გადმოგზავნილი დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე დაწყებითი საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებში მოცემული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და არ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, ასევე დამატებითი დოკუმენტაციაში გადმოგზავნილ სახვითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების შევსებული რუბრიკა ასახავს მხოლოდ მოსწავლის მიღწევის დონეს და არ იძლევა განმავითარებელ შეფასებას
- არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.1.2.5 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;
- საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმები.

### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ არის დაწყებითი საფეხურის მუსიკის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე სემესტრში მოსწავლეების მიერ უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა, ხოლო გადმოგზავნილი შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალები არ შეესაბამება კურიკულუმით გაწერილ შემოქმედებითი დავალებებს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ არის გადმოგზავნილი დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე დაწყებითი საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებში მოცემული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და არ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, ასევე დამატებითი დოკუმენტაციაში გადმოგზავნილ სახვითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების შევსებული რუბრიკა ასახავს მხოლოდ მოსწავლის მიღწევის დონეს და არ იძლევა განმავითარებელ შეფასებას, არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება დაწყებით საფეხურზე დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- ელექტრონული ჟურნალის შესახებ ხელშეკრულება;
- საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით



1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;  
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.  
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- o დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- o სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- o კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები;



## o სასკოლო სასწავლო გეგმა

### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

#### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
4. სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები;
5. კათედრების სხდომის ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
5. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
6. განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმის ანგარიშები.



### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
3. სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები;
4. კათედრების სხდომის ოქმები;
5. პედაგოგიური სხდომის ოქმები;
6. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.

#### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2                                                             | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|-------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი<br>საბაზო საფეხურის<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება                                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            |



|                                                       |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                       | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია   | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

##### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:



1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

#### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი) , სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი

მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ გადმოგზავნილი მუსიკის საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არის ზოგადი და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას კურიკულუმში მოცემულ საკითხებთან ან შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით, ასევე არ შეესაბამება მეშვიდე კლასის კურიკულუმში მოცემულ საკითხებს და შემოქმედებით დავალებებს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება საბაზო საფეხურზე მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.1.2.5 შეფასება „ არ შეესაბამება“ , როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე;
- საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმები.

#### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ არის საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე სემესტრში მოსწავლეების მიერ უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი მტკიცებულება საბაზო საფეხურზე საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის შემოქმედებით დავალებები, შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასება „არ შეესაბამება“, როგორც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
